

Avtandil Nikoleishvili

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Towards the Contribution of Giorgi Tsereteli in the History of Georgian Emigrant Literature

გიორგი წერეთლის წვლილისათვის ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორიაში

The literary heritage of the famous Georgian immigrant writer Giorgi Tsereteli (1917-1993) has not been the subject of a thorough study. The main goals of his creative work were Georgia's history and his critical views of the Soviet reality. In his writings he analyzed the situation in Georgia during the Soviet period from a critical point of view. Giorgi Tsereteli, with his literary heritage and diversity of genres, is one of the prominent representatives of Georgian emigrant writers of the last century.

Keywords: Giorgi Tsereteli, Georgia, emigration, Soviet era

საკვანძო სიტყვები: გიორგი წერეთელი, საქართველო, ემიგრაცია, საბჭოთა ეპოქა

სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის, პუბლიცისტისა და აქტიური საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის (1917-1993 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა საფუძვლიანი შესწავლის საგნად. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან ქართული ემიგრაციის ისტორიაში საპატიო ადგილი არა მარტო მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედებით დაიმკვიდრა, არამედ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც და წარმატებული საგამომცემლო საქმიანობითაც.

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი წერეთლის მიერ შეტანილი წვლილის რამდენადმე მაინც წარმოჩენამდე, ქვემოთ შევეცდები ფრაგმენტულად გავიხსენო მისი ბიოგრაფიის უმთავრესი შტრიხები: დაიბადა 1917 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში. 1935 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ანტისაბჭოთა საქმიანობაში ბრალდებული მისი უფროსი ძმის დახვრეტის გამო 1937 წელს იძულებული გახდა, სწავლისათვის თავი დაენებებინა და მასწავლებლად დაეწყო მუშაობა, ერთი წლის შემდეგ კი კვლავ განაგრძო უნივერსიტეტში სწავლა.

1941 წლის დეკემბერში ომში გაიწვიეს. 1942 წელს ტყვედ ჩავარდა და ცხოვრების მთელი შემდგომი პერიოდი ემიგრაციაში გაატარა და აქტიურად ეწეოდა ლიტერატურულ, ჟურნალისტურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული სამშობლოს ხანმოკლე დროით მხოლოდ ერთხელ, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, სტუმრობდა, მისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს საქართველოსადმი მსახურება წარმოადგენდა.

ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწერების გარდა, გ. წერეთელი პარიზში ქართულ ენაზე გამოცემული ორი წიგნის ავტორიცაა. ესენია: ლექსების კრებული „სიყვარულის თაიგული“ (1983 წ.) და პუბლიცისტური წერილების კრებული „ჩვენი სატკივრები“ (1987 წ.).

გარდაიცვალა 1993 წლის 24 მაისს. დაკრძალულია ლევილში.

გურამ შარაძის შეფასებით, გ. წერეთლის ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებიდან დღესდღეობით „ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი“ მისი პუბლიცისტი ნააზრევია (შარაძე, 1993, გვ. 406). თუმცა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში შეტანილი მისი წვლილის შეფასების დროს უყურადღებოდ არც მის მიერ შექმნილი ლექსები და კრიტიკულ-ლიტერატურათმცოდნეობითი წერილები უნდა დავტოვოთ.

გ. წერეთლის ლექსთა უდიდესი ნაწილი მისივე პუბლიცისტური ნააზრევის პოეტური ანარეკლია და ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე საკითხებით ნასაზრდოები. იქიდან გამომდინარე, რომ პოეტურ ტექსტებს მის შემოქმედებაში რაოდენობრივი თვალსაზრისითაც მოკრძალებული ადგილი უჭირავს და იგი პარიზში 1983 წელს გამოცემული მხოლოდ ერთადერთი კრებულის – „სიყვარულის თაიგული“ ავტორია, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საკუთარი ნააზრევის გამოხატვის უმთავრეს ჟანრებად ის კრიტიკასა და პუბლიცისტიკას მიიჩნევდა და არა პოეზიას.

თავისი ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, პოეტური შთაგონებისთვის იმპულსის მიმცემ უმთავრეს ფაქტორად გ. წერეთლისთვის უპირველეს ყოვლისა სამშობლოსაგან ფიზიკური განშორებით განპირობებული ნოსტალგია იქცა. ფიზიკურ განშორებას ამ შემთხვევაში ხაზს განსაკუთრებული სიმკვეთრით იმიტომაც ვუსვამ, რომ ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, იგი კვლავაც რჩებოდა მშობელ ქვეყანასთან ნოსტალგიური გრძნობებით დაკავშირებულ მამულიშვილად. სწორედ აღნიშნული მოვლენის ლოგიკურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ მის ლექსებში ხაზგასმულად სენტიმენტალიზებული ფორმით გამოხატული პატრიოტული გრძნობები, რასაც თავად პოეტი „მისი არსის გასაღებ“ მოვლენად მიიჩნევდა და ამგვარად განუმარტავდა მკითხველს (წერეთელი, 1983, გვ. 2):

მამული ჩემი, ის წმინდა ხატი, ღვთიურის ხელით გულს ჩანახატი,
მისთვის გიზგიზებს გულში ხანძარი, სანამ დგას ფეხზე ჩემი ტაძარი.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის ამგვარი ფორმით გამოხატვას მეტი სიმძაფრე პოეტმა იმ ფაქტორების ხაზგასმითაც შესძინა, რაც მისი ცხოვრებისეული ხვედრის განმაპირობებელ მოვლენად იყო ქცეული (წერეთელი, 1983, გვ. 3):

აწმყომ მოშალა ყველა სამანი, ბედმა ხიფათის გზებით მატარა;
არ შემისრულა გულის ზრახვანი, მშობლიურ მიწის ხილვაც მანატრა.

როგორც წინამდებარე ნარკვევში დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, გიორგი წერეთლის ლირიკული ნააზრევი ხშირ შემთხვევაში აშკარადაა აღბეჭდილი XIX საუკუნის ქართული პოეზიის დიდოსტატთა, პირველ ყოვლისა კი აკაკი წერეთლის, შემოქმედებითი ზეგავლენით. ამ გარემოებას არც თავად გ. წერეთელიც რომ არ მალავდა, ეს მისი ერთ-ერთი ლექსისთვის გაკეთებული წარწერითაც – აკაკისებური თვალნათლივ ჩანს (წერეთელი, 1983, გვ. 5):

არც მომკვდარა და არც სძინავს, მახვილს ჭედავს მტერთა მგმირავს,
დაუცავს და კვლავ დაიცავს კავკასიის მშობელ მიწას.
ღვთიურ ხელით, როგორც მძივი, ნაჭედია მისი სული,
ვერვინ ნახოს მთის არწივი ლაფში იყოს განართხული.
მას წარსული გზას უნათებს, მომავალზე აძლევს რწმენას;
ამირანი არყევს მის მთებს და ასწავლის გმირულ თმენას.

გ. წერეთლის პოეტური შთაგონების უმთავრეს საფუძველს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ის ტრაგიკული მოვლენები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილის მონაწილე თავადაც იყო. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი პოეტური შემოქმედება უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მოვლენათა პოეტურ გამოძახილს წარმოადგენს. მიუხედავად მათგან დროული დისტანცირებისა, ამ მოვლენების შედეგად დამკვიდრებული რეალობა კვლავაც დარჩა გ. წერეთლის სულიერი ტკივილის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად. მაგალითად (წერეთელი, 1983, გვ. 6):

ო, ამ ცივ ზამთარს თუ გადავურჩი, ზამთარს სუსხიანს ჩრდილოეთისას,
გაზაფხულისთვის ვარდ-ყვავილებით შეგიცვლი ტანჯვას ჯოჯობეთისას.
შშობლიურ ველზე დავკრეფ ყვავილებს, ულამაზესებს მთელი ქვეყნისას,
მრავალ ფერიდან ავარჩევ სამ ფერს – სიმბოლოს შენი უკვდავებისას.
დაცემის, მაგრამ კვლავ წამოდგომის, ნიშანს უშრეტი ენერჯისას,
წამების, მაგრამ არდამონების, ბოროტზე მუდმივ გამარჯვებისას.
ოცდაექვს მათს გვირგვინად შეკრულს, კრძალვით მოგართმევ შენს სადიდებლად,
თეთრ საქორწილოს ნაზად ჩავაწნავ შავსა და წითელს ხსოვნის ლამპარად.

განახლებული რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობით განპირობებულ ტკივილს გ. წერეთელს კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა სამშობლოსაგან ფიზიკური სიმორე. მისი პოეტური შემოქმედების უმთავრეს თემად დამკვიდრებული ამ ტკივილის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ კიდევ ერთ მაგალითს მისი პოეტური შემოქმედებიდან – ფრაგმენტი ლექსიდან „ორჯერ ვერ მომკლავს წუთისოფელი“ (წერეთელი, 1983, გვ. 6):

ცაზე ბურუსის გაუსავლეთი, მზეც აღარ მზეობს თვის ბრწყინვალეობით.
საით მივმართო? დღეს დასავლეთიც მომჩერებია უნდო თვალებით.
თავს დამხარხარებს, ჰკივის სატანა, ფეხდაფეხ მომდევს მტერი მდევარი,
რარიგ გაჭირდა ლელოს გატანა, არც წინამძროლი, არც შესაფარი.
საფლავს მიმზადებს, თხრის გამალებით, სისხლის წყურვილით გახელებული,
წითელი დათვი, სკვითის თვალებით, გზაჯვარედინზე ჩასაფრებული.
ვით უდაბნოში დავეხეტები, არც თანამგზავრი, არც მეგობარი,
პარნასის მთიდან გაქრენ ღმერთებიც, რომ შემვივრდომონ მიუსაფარი.

როგორც დამოწმებული ლექსებითაც ჩანს, გ. წერეთლის პოეზია საკმაოდ პოლიტიზებულია და ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციურად წარმომჩენი. არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ მისი ლექსების უმეტესობა ავტორის პუბლიცისტურ წერილებში განსჯილ საკითხთა პოეტური ვერსიებია.

მაგალითად, 1947 წელს დაწერილ ლექსში „პასუხს მოითხოვენ (გამოძახილი ნოე ჟორდანის გამოსვლაზე სამშობლოში დაბრუნების შესახებ)“ გ. წერეთელმა (1983, გვ. 14) ქართული ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის კომპრომისული მოწოდება სამშობლოში ემიგრანტთა დაბრუნებასთან დაკავშირებით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების ღალატად მიიჩნია და ეს მოვლენა ასე შეაფასა:

„საშვილიშვილოდ იქნება კრული, ვინც განვლილ ბრძოლის გზას უღალატებს, ქართლის დიდების წამებულ გმირთა წამოიშალნენ ლეგიონები, ყური მიუგდეთ, ცოცხლების მიმართ რას გვაუწყებენ მათი სიტყვები: „იქნებ სიმტკიცე წლებმა დაცვითეს, დამარცხებებმა მოგაკლოთ ლხენა, რომ ახალ დროის სისხლიან სკვითებს გასურთ მოაჩვენოთ შეცვლილი რწმენა?.. არა და არა! ათასჯერ არა! არა და არა ათიათასჯერ! ნებას არ მოგცემთ ცუდ დათმობების და თუ მტრის გული ათჯერ ვერ გასჭერ, დრომას ნუ დახრი დიად ბრძოლების! თუ

გამარჯვების დიდებულ გვირგვინს თავს ვერ დაიდგამს თქვენი თაობა, დე, ღიად დარჩეს საკითხი: ვინ-ვის? გვწამს, გაიმარჯვებს შთამომავლობა! მებრძოლ თაობას, ახლა დაქანცულს, ახსოვდეს სიტყვა ნაქანდაკარი: „სჯობს მონობაში გადიდვაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი.“

გიორგი წერეთლის ცხოვრებისეულმა ხვედრმა არსებითად განაპირობა ის გარემოება, რომ მისი პოეტური შემოქმედების ფაქტობრივად ერთადერთ თემად ეროვნული პრობლემა იყო ქცეული. როგორც პოეტის ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, მშობლიური გარემოსაგან მოწყვეტის მიუხედავად, იგი კვლავაც საქართველოზე ფიქრითა და დარდით ცხოვრობდა და სამშობლოსაგან იძულებითი სიშორით განპირობებულ ნოსტალგიას ლექსების შექმნით იქარავდა.

ამ გრძნობის წარმომჩენ უმთავრეს ფაქტორად ჩვენი ქვეყნის ისტორიის არა მარტო გმირული, არამედ ტრაგიკული ეპიზოდებიც იყო ქცეული. გ. წერეთელი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიასა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველი ხალხის დასათრგუნად გატარებული რეპრესიული პოლიტიკის უმთავრეს ეპიზოდებს იხსენებდა და ამ გზითაც ცდილობდა მკითხველის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას. მაგალითად – ფრაგმენტი ლექსიდან „სისხლი“ (წერეთელი, 1983, გვ. 16):

მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილისგან არას მოველი,
მაგრამ მზადა ვარ, როს მამული ამას მოითხოვს,
მისი ველები ჩემი სისხლის არხით მოირწყოს.
როცა, მამულო, ჩემი სისხლი კი დაგჭირდება,
(მოვალეობა მიკარნახებს, არა დიდება),
როცა ეგ წყლულნი შვილთა სისხლით უნდა აიცრა,
დანის ერთ მოსმით მზად ვარ ყველა ძარღვი დავიჭრა.

გ. წერეთლის ლირიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საბჭოთა რეჟიმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეალობის ნეგატიურ მხარეთა წარმოსახვაც წარმოადგენდა. კერძოდ, მის პოეზიაში ხაზგასმულად რეტუმირებული ფორმით იყო ნაჩვენები ის რეალობა, რომლის დამკვიდრების უმთავრეს მიზანს აქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერებისთვის მკვიდრი საფუძვლის გამოცლა წარმოადგენდა. მაგალითად – ფრაგმენტი 1948 წელს დაწერილი ლექსიდან „ჩემს თანამემამულეთ“ (წერეთელი, 1983, გვ. 18):

ფეხებზე ხუნდი, ენას საკეტი, ნამგალ-ჩაქუჩზე მიგიკრეს ხელი,
თუ ღმერთმა მშვიდად დღე დაგიღამა, კვლავ გათენებას ეჭვით მოელი.
სიცოცხლე ტანჯვად გადაგიქციეს, საიქიოზეც მოგტაცეს რწმენა;
ყველა წაგართვეს, რაც კი გებადა, სიმართლისათვის მოგკვეთეს ენა...
რაღა ყოფნაა ეგ შენი ყოფნა, ცრემლსა და შხამში ამონალესი,
თუ არა ოდენ ბედის ჩივილი, გულის სიღრმიდან ამონაკვესი?!

თუმცა, დროდადრო გამოვლენილი ამგვარი სულიერი სკეპტიციზმის მიუხედავად, გიორგი წერეთლის პოეზიიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, იგი სულიერ სასოწარკვეთილებას მაინც რომ არ ეძლეოდა და არა მარტო სიტყვიერად ეხმაურებოდა ხსენებულ მოვლენებს, არამედ პირადადაც იყო აქტიურად ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში.

გ. წერეთლის ეროვნული სულისკვეთების წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამირულად მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლის განდიდებაც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწერილი მისი ლექსები.

საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის წარმომჩენი ამ ლექსების ემოციურ მუხტს პოეტს ისიც უმძფარებდა, რომ ხსენებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა შორის ერთ-ერთი მისი ღვიძლი ძმაც იყო. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ლექსიდან „ავვისტოს მსხვერპლთ (ჩემ საფიცარ ძმა აბელს, ავვისტოს აჯანყების მამაც მონაწილეს, ჩეკის ჯალათების უდანაშაულო მსხვერპლს 1936-ში)“ (წერეთელი, 1983, გვ. 28):

დავხაროთ წუთით სისხლში ნაბანი შინდისა ფერი ქართლის დროშები,
ცრემლები არა! ცრემლები არა! გმირთ არ შეშვენით ოხვრა-მოთქმები.
რისხვის დუმილი უფრო უხდებათ თავისუფლების უშიშარ მებრძოლთ;
სამშობლოსათვის თავდადებულებს მარადისობის გვირგვინი ეხლოთ.

გიორგი წერეთლის მხატვრული ნააზრევის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მისი შემოქმედების იმ ნიმუშებზეც მიიწვია, რომელნიც ავტორმა „პროზაული პოეზიის“ ციკლში გააერთიანა. ჩემი აზრით, მკაფიოდ გამოხატული პუბლიცისტური პათოსით აღბეჭდილი ამ ტექსტების მიჩნევა პოეტური ჟანრის ნაწარმოებებად აშკარად მოკლებულია რეალურ საფუძველს, რადგანაც თემატურადაც და აზრობრივი სტრუქტურითაც ისინი პუბლიცისტურ ჩანაწერებს წარმოადგენს.

მაგალითად – ფრაგმენტი ერთ-ერთი ასეთი ტექსტიდან („სიკვდილი „უკვდავისა,“ 1953 წლის მარტი. გვ. 5), რომელშიც სტალინის სიკვდილის შედეგად განცდილი ემოცია საქართველოს ისტორიასთან მიმართებით ამგვარადაა გამოხატული:

„საბჭოთა იმპერიის და კომუნისტური სამყაროს უცილო მბრძანებელს, ოდა-ხოტბებით და ლეგენდებით ცამდე აყვანილს, იოსებ სტალინს გამოუქროლა სიკვდილის ცელმა და დასცა ძირს, როგორც უბრალო მომაკვდავი ამა სოფლისა... „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლისათვის ის იქნება უღირსი შვილი, რადგან: პირადი განდიდებისათვის უცხო ერის ხიმტებით ქელა და დაამხო მშობელი ქვეყანა... სატანური გაუტანლობით მან არ დაინდო მოყვარე თვისი, მეგობარი, თანამებრძოლი... და ამდენი სისხლით მოსვრილ მის სახელს წყევლა და კრულვა... საშვილისშვილოდ!“

გ. წერეთლის შემოქმედებითი ნააზრევის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მის ლიტერატურულ წერილებზეც მიიწვია. ხსენებულ პუბლიკაციებში იგი არა მარტო ზოგადად მსჯელობდა საბჭოთა მწერლობაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ კრიტიკული თვალთახედვითაც განიხილავდა ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ფართოდ ცნობილ ნიმუშებს. მაგალითად, „გუშაგის“ 1985 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – „მარადისობის კანონი“ და მიხეილ ქავთარაძე“ გიორგი წერეთელმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა მიხეილ ქავთარაძე მის მიერ ამ რომანთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიტიურ შეფასებათა გამო (მ. ქავთარაძის ხსენებული წერილი – „ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო“ იხ: გაზეთი „ივერია“, 1985 წ., №28).

კერძოდ, გ. წერეთელი პრინციპულად არ ეთანხმება მ. ქავთარაძის იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „მარადისობის კანონი“ „კომუნისტი მწერლის“ მიერ დაწერილ „არაკომუნისტურ“ ნაწარმოებად იყო მიჩნეული („გუშაგი,“ 1985 წ., №7, გვ. 57). მისი შეფასებით, ნ. დუმბაძის რომანი სინამდვილეში საბჭოური კონიუნქტურით დაღდასმულ რომანს წარმოადგენს, რაც არსებითად განაპირობა ხელისუფლების მესვეურებთან მწერლის პიროვნულმა სიახლოვემ.

წერილში კრიტიკული განსჯის საგნად რომანის ის ეპიზოდებიცაა ქცეული, სადაც კომუნისტური პარტიის ვეტერანები პარტიის წევრად მიღების წინ გამართულ გასაუბრებაზე მყოფ მწერალს იმასთან დაკავშირებითაც უსვამენ შეკითხვას, რას იტყოდა იგი იმის თაობაზე, მისი მშობლები სწორედ ამ პარტიის მესვეურთა მიერ რომ იყვნენ რეპრესირებულნი. ამ შეკითხვის დასმის დროს მათ პირველ ყოვლისა იმის გარკვევა აინტერესებდათ, ამის გამო ჰქონდა თუ არა მას რაიმე

წყენა სახელისუფლები პარტიის პოლიტიკისადმი. როგორც რომანის ამ ეპიზოდთან ვიცით, ვეტერან კომუნისტა მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე მწერალმა განაცხადა, რომ მან ამ ტრაგიკული მოვლენის ჩამდენთ ეს ქმედება აპატია. გ. წერეთლის აზრით, მშობლებრეპრესირებული ბაჩანას მიერ ამ ტრაგიკული მოვლენისადმი გამოხატული მიმტევებლური დამოკიდებულება სრულიად გაუმართლებელია.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძისესთან და მის რომანთან დაკავშირებით გ. წერეთლის მიერ ესოდენი სიმწვავეით გამოთქმულ შენიშვნებს გარკვეული საფუძველი მართლაც მოეპოვება, ხსენებული პუბლიკაცია მაინც უნდა მივიჩნიოთ მწერლის მიერ წარმოსახული რეალობის შეფასებად ქვეყანაში იმხანად არსებული პოლიტიკური რეალობის გაუთვალისწინებლად.

„თავისუფლების ტრიბუნაში“ დაბეჭდილი წერილების გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო ჟურნალის 1978 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი წერეთლის პოლემიკურ სტატიას – „ბ-ნ კალისტრატე სალიას „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“. კ. სალიას ხსენებული ნარკვევი 1972 წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ქართველოლოგიური ჟურნალის – „ბედი ქართლისას“ გაერთიანებულ XXIX-XXX ტომში.

თავის რეცენზიაში გიორგი წერეთელმა საკმაოდ მკაცრად განიხილა კალისტრატე სალიას ხსენებული ნარკვევი და მას მკვეთრად ნეგატიური შეფასება მისცა. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვანი პროცესის უმთავრეს ეტაპთა კ. სალიასეული გააზრება ცალკეულ შემთხვევებში მართლაც შეიძლება იქცეს პოლემიკის საგნად, ხსენებული ნაშრომის ამგვარი შეფასებისთვის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კ. სალიას მიერ გამოთქმული ზოგიერთი დებულება გ. წერეთლის წერილში არასწორადაა განმარტებული, ანდა არსებითად განსხვავებული სახით ინტერპრეტირებული. მაგალითად, განსახილველი პუბლიკაციის ავტორისადმი წაყენებული ბრალდება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქართული ანბანის შექმნა მესრობ მაშტოცის დამსახურებას წარმოადგენდა, საფუძველსაა მოკლებული. პირიქით, კ. სალიას ხსენებულ ნარკვევში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამ მოსაზრებას არც ერთი ცნობილი მეცნიერი არ იზიარებდა („ბედი ქართლისა“, 1972, გვ. 206).

გ. წერეთელი კ. სალიას იმის გამოც აკრიტიკებდა, რომ მის ნარკვევში დაწვრილებით არ იყო განხილული „ის სოციალური, ეკონომიკური, მატერიალური და, რაც მთავარია, პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდა ჩამოყალიბება საბჭოთა პერიოდის ლიტერატურას... არაფერი ამის მსგავსი... დიდი ილიას, აკაკის და ვაჟას შემდეგ ის ისე გადადის საბჭოთა ხანის მწერლებზე, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო“ („თავისუფლების ტრიბუნა“, 1978 წ., №23, გვ. 10).

გ. წერეთლის ხსენებული რეცენზიის განხილვის დროს ყურადღება მის იმ ეპიზოდებსაც მინდა მივაქციო, რომლებშიც ერთმანეთთან შეპირისპირებული სახითაა შეფასებული საბჭოთა ეპოქასა და წინარე საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება. კერძოდ, გ. წერეთელი კ. სალიას მართებულად აკრიტიკებდა იმის გამო, რომ მათ შორის არსებული ბალანსი ამ შემთხვევაში აშკარად იყო დარღვეული საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მწერალთა სასარგებლოდ. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს გ. წერეთლის რეცენზიიდან: „ჩვენს სათაყვანებელ თერგდალეულებს ბ-ნი სალია უფრო ნაკლებ ადგილს უთმობს, ვიდრე „სოც. რეალიზმის“ წარმომადგენლებს. მაგალითად, დიდებული ილია და აკაკი ერთ თავში მოუქცევია და ორივესთვის 28 სტრიქონი დაუთმია, მაშინ, როცა მარტო ლეო ქიაჩელს 30 სტრიქონი აქვს დათმობილი, ხოლო ირაკლი აბაშიძეს 90“ („თავისუფლების ტრიბუნა“, 1978 წ., №23, გვ. 11).

ჩემი აზრით, ასევე ერთმნიშვნელოვნად მისაღებია გ. წერეთლის მიერ კ. სალიას მიმართ გამოთქმული შენიშვნაც იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავის ნარკვევში სათანადო შეფასება არ მისცა საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედების იმ ტექსტებს, რომლებიც

იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეწოლის შედეგად იყო შექმნილი და ამ მოვლენას ამგვარ შეფასებას აძლევდა:

კ. სალიას „მიუდგომლად და ობიექტურად უნდა გაეშუქებინა საქართველოს ისტორიის ეს უბედური ხანა (იგულისხმება საბჭოთა პერიოდი – ა. ნ.), რომ საშუალება მიცემოდა უცოდინარ მკითხველს გარკვეულიყო, თუ რა სასწაულით მოხდა, რომ ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სხვა გადაიქცნენ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლების, ლენინ-სტალინ-ბერია-ბრეჟნევის მეხოტბე პოეტებად. ანდა, თუ როგორ დაიღუპნენ შემოქმედებისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები და პოეტები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები“ („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 10).

გ. წერეთელი კ. სალიას იმის თაობაზეც საყვედურობდა მართებულად, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ზოგიერთი ქართველი მწერლის შემოქმედებითი ღვაწლი თავის ნარკვევში მას არაპროპორციულად რომ ჰქონდა წარმოჩენილი. კერძოდ, იმ დროს, როცა მის მიერ შერჩეული სამი ე. წ. საბჭოთა პოეტიდან (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და ი. აბაშიძე) იგი გალაკტიონის პოეზიის ანალიზს მხოლოდ 45 სტრიქონს უთმობდა, ი. აბაშიძის პოეტური ღვაწლის წარმოჩენას 90 სტრიქონი ჰქონდა მიძღვნილი („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 13).

გ. წერეთელი კ. სალიას იმაშიც დებდა ბრალს, საბჭოთა პერიოდის ქართულ პოეზიაში ი. აბაშიძის პოეტური წვლილს იგი ჰიპერბოლიზებული სახით რომ წარმოაჩენდა და მის „მლიქვნელურ პოეზიას“ (გ. წერეთლის სიტყვებია) თავად ის ამგვარად აფასებდა:

ი. აბაშიძე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა „ქართული ეროვნული პოეზიის ყველაზე უკეთეს წარმომადგენლად,“ რადგანაც „იგი მუდამ იყო და დარჩა ჩვენი დამპყრობელი კრემლის ერთგულ „კოლაბორატორად,“ რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საბჭოურად გახედნის საქმეში, რისთვისაც კრემლს მისთვის წყალობა არ მოუკლია... ირ. აბაშიძის პოეტური ქმნილებების უმრავლესობა წყალში გადასაყრელია, რადგანაც იგი მონობას უნერგავს ჩვენს ახალგაზრდობას, უმღერის ლენინს, სტალინს, ბერიას, ოქტომბრის რევოლუციას და მას თებერვალი მისთვის უყვარს, „რომ ჩვენს მამულს თებერვალში გაუთენდა შვების დილა“ („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 13).

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გალაკტიონ ტაბიძისა და ირაკლი აბაშიძის შემოქმედებათა შეფასების დროს კალისტრატე სალიაცა და გიორგი წერეთელიც ამგვარად ავლენდნენ ტენდენციურ მიდგომას. კერძოდ, თუ გალაკტიონის პოეტური ღვაწლი კ. სალიას ნარკვევში სათანადო მასშტაბურობითა და რეალობასთან შესაბამისობით მართლაც არ იყო წარმოჩენილი და გ. წერეთლის მიერ ამასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები უთუოდ მართებულია, ი. აბაშიძის პოეტური შემოქმედების შეფასების დროს ორივე კრიტიკოსი ამგვარად ტენდენციურია.

გ. წერეთლის წერილში მეტ-ნაკლებად მსგავსი პოლემიკური პოზიციებიდანაა გაანალიზებული და კრიტიკული თვალთახედვით შეფასებული კ. სალიას დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლების: კ. გამსახურდიას, ლ. ქიჩელისა და გ. ლეონიძის შემოქმედებისადმი. როგორც ამ ჩამონათვალითაც თვალნათლივ ჩანს, კ. სალიას თვალთახედვის არეში ვერ მოხვდა იმხანად მოღვაწე არაერთი ცნობილი მწერალი, რის გამოც იგი ლოგიკურად იქცა გ. წერეთლის მკაცრი კრიტიკის ობიექტად.

გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის პუბლიცისტურ ნააზრევსაც უნდა მივაქციოთ, რადგანაც ქართულ ემიგრან-

ტულ პრესაში მრავლად გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ წერილებში კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის საგნადაა ქვეული როგორც საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა, ისე საბჭოთა ხელისუფლების მანკიერი მხარეები.

გ. წერეთლის პუბლიცისტიკის სწორედ ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან თემატურ მიმართულებას წარმოადგენს ქართველ ებრაელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილები. აღნიშნული მოვლენის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად ამ შემთხვევაში 1970-იან წლებში დაწყებული ის მასშტაბური პროცესი იქცა, რის შედეგადაც ქართველ ებრაელთა უდიდესმა ნაწილმა მუდმივ საცხოვრებლად თავის ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. გ. წერეთლის წერილებში არაერთგზის ესმება ხაზი იმას, რომ საქართველოდან ებრაელთა მიგრაციის განმაპირობებელ ფაქტორს ეთნიკური ნიშნით მათი შევიწროება არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა დამოკიდებულებას, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან და თანადროული ყოფიდან დამოწმებულ ეპიზოდებზე დაყრდნობით გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა უცხო ტომელებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში მკვიდრობის პერიოდში ისინი „ქართველების გვერდიგვერდ იბრძოდნენ და იღვწოდნენ საქართველოს დასაცავად და ასაშენებლად. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით განიცადეს“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

იმის დასტურად, ეს მოვლენა ცალმხრივი რომ არ ყოფილა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელებისადმი ქართველ ხალხსაც მხოლოდ ტოლერანტული დამოკიდებულება რომ ჰქონდა, გ. წერეთელი საქართველოს ისტორიიდანაც იშველიებდა სათანადო არგუმენტებს. კერძოდ, მისი ხაზგასმით, იმ დროს, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი შემთხვევაც კი არაა აღნიშნული ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ებრაელთა დარბევისა და დევნა-შევიწროებისა, „რუსეთში, უკრაინაში და პოლონეთში ებრაელთა „პოგრომებმა“ ტრალიკული ხასიათი მიიღო.“

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გ. წერეთელი იმ აქტიურობასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, რითაც ქართველი ებრაელები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესშიც იყვნენ ჩართული. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ისინი, „ისევე, როგორც ქართველები, გვერდიგვერდ იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოს დასაცავად და ასაშენებლად. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით განიცადეს“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

აღნიშნული მოსაზრებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. წერეთელს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა იმ თანამდგომი დამოკიდებულების წარმოსაჩენად, რასაც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტთა რეპრესიებისაგან ებრაელების გადასარჩენად იჩენდნენ ქართველები. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს „გერმანიის ტყვეთა ბანაკებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ტყვეს ებრაელი გაეცა.“

გიორგი წერეთლის წერილისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისიც, რომ თავის პუბლიკაციაში მან მკითხველის ყურადღება ებრაელთა ეთნიკური წარმომავლობის პრობლემასაც მიაპყრო. კერძოდ, პუბლიცისტმა ერთმნიშვნელოვნად უარყო ქართველთა და ებრაელთა ცალკეული წარმომადგენლების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ჩვენი ქვეყნისადმი ქართველ ებრაელთა სიყვარულის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის გარემოება იყო ქვეული, თავიანთი ეთნიკური წარმომავლობით ისინიც ქართველები რომ იყვნენ და მათგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ.

როგორც ცნობილია, ეს მოსაზრება 1910-იანი წლების საქართველოში იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში („საქართველო“, „სამშობლო“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“, „ერთობა“...) ამასთან დაკავშირებით ცხოველი პოლემიკაც კი იყო გამართული. ამ პოლემიკის მთავარ წარმომადგენლებად მაშინ ქართველ ებრაელთა რელიგიური ლიდერი დავით ბააზოვი და „ახალგაზრდა ასიმილატორებად“ სახელდებული ძმები: მიხაკო და იოსებ ხანანაშვილები მოგვევლინენ. დავით ბააზოვმა ქართველ ებრაელთა ეთნიკურ კუთვნილ-

ბასთან არსებულ ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას „დიდი გაუგებრობა და შეცდომა“ უწოდა (ამასთან დაკავშირებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2003, გვ. 63-70).

როგორც უკვე ითქვა, პოლემიკური განსჯის საგნად ქცეულ ამ თვალსაზრისს „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში გიორგი წერეთელმაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა:

„ქართველი ებრაელების შესახებ ორი შეხედულება არსებობს: ერთნი იცავენ, რომ ისინი ქართველი წარმოშობის არიან და მხოლოდ მოსეს რჯულის აღიარებით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველებისაგან. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ისინი სისხლითაც და რჯულითაც განსხვავებული არიან, რომ ისინი საქართველოში მოვიდნენ ისრაელის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ და ამიტომაც მათ შეინარჩუნეს ისრაელიტის სახელწოდება“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

გ. წერეთლის ხაზგასმით, მისი პუბლიკაციის მიზანს ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა კი არ წარმოადგენდა, არამედ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისადმი მოწოდება იმისა, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ იმ ებრაელებს, რომლებიც მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ, არავითარი დაბრკოლებები რომ არ უნდა შექმნოდა.

მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა სიყვარული ამ ადამიანთა ეროვნული თვალთახედვის არაკონიუნქტურულ გამოხატულებას რომ წარმოადგენდა, გიორგი წერეთელი ჩვენს ქვეყანასთან მათი მუდმივი განშორებით განპირობებული ნოსტალგიის მძაფრად წარმომჩენ ეპიზოდებსაც გვაწვდის. მაგალითად: ემიგრაციაში არსებული ქართული რადიოს – „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბრის დროს საქართველოდან ისრაელში გადასახლებულ ებრაელ გოგონას ასეთი რამ უთქვამს: „თუ ბავშვს ორი მშობელი ჰყავს – დედა და მამა, ჩვენთვის ეს ისრაელი და საქართველოა“. მეორე რესპოდენტს კი საქართველოდან ისრაელში მისი ოჯახის გადასახლებისთვის ასეთი შეფასება მიუცია: „1973 წელს ჩვენი ოჯახი ისრაელისაკენ დაადგა გზას. ეს იყო ჩემთვის უდიდესი ტრაგედია. ვტოვებდი იმ ქვეყანას, სადაც დავიბადე და დავვაჟკაცი. სამი წელია, აქ ვარ. დღე არ გავა საქართველოზე ფიქრის გარეშე“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 14).

გ. წერეთლის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს თემას საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების ანალიზიც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ერთ-ერთ სტატიას წარმოადგენს მ. განშორებულის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს შემდეგ აფხაზეთი“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, №21, გვ. 22-24). ხსენებულ პუბლიკაციაში ნილაბახდილი სახით იყო წარმოდგენილი აფხაზეთში იმხანად გამართული საპროტესტო დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების განმაპირობებელ ფაქტორთა ნამდვილი არსი.

გ. წერეთლის ხაზგასმით, აფხაზ სეპარატისტთა ორგანიზებით გამართული ეს გამოსვლები სინამდვილეში „რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ საქართველოს, ქართველების წინააღმდეგ... აფხაზი მანიფესტანტები მოითხოვდნენ ქართული ენის, როგორც ოფიციალური ენის, ამოღებას ახალი კონსტიტუციიდან და რომ ამავე კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთს მიეცემოდა უფლება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლის და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლის“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, №21, გვ. 22).

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები მათ მიერ ორგანიზებულ ამგვარ თავყრილობებზე უყენებდნენ ქართველ ხალხსა და მის მთავრობას, იმაში მდგომარეობდა, თითქოს ისინი „აფხაზებს საშუალებას არ აძლევდნენ თავიანთი ეროვნული ენის და კულტურის განვითარებისას, უმახინჯებდნენ ისტორიას და სხვა“.

როგორც გიორგი წერეთლის შემოქმედებითი ღვაწლის თუნდაც არასრული სახით წარმომჩენი წინამდებარე ნარკვევითაც თვალნათლივ ჩანს, ჟანრობრივად მრავალფეროვანი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით იგი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნიკოლეიშვილი, ა. (2003). ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სალია, კ. (1972). ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, XXIX-XXX, პარიზი.
- ქავთარაძე, მ. (1985). ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო, იხ: გაზეთი „ივერია“, 28, პარიზი.
- შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი 3. თბილისი: „მერანი“.
- წერეთელი, გ. (1976). ქართველი ებრაელები ისრაელში. ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, 10, 11-13, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1976). „მარადისობის კანონი“ და მიხეილ ქავთარაძე, იხ: „გუმბაგი“, 7, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1978). ბ-ნ კალისტრატე სალიას „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“. იხ: „თავისუფლების ტრიბუნა“, 23.10-14. პარიზი.
- წერეთელი, გ. (1983). სიყვარულის თაიგული, ლექსები, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1976). ქართველი ებრაელები ისრაელში. მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა. „თავისუფლების ტრიბუნა“, 10-13, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1978). საქართველოს შემდეგ აფხაზეთი, „თავისუფლების ტრიბუნა“, 21, 22-24. პარიზი.

References:

- Kavtaradze, M. (1985). Nodar Dumbadzis gardatsvalebis gamo. [Due to the Death of Nodar Dumbadze]. Gazeti „Iveria“, 28, P'arizi.
- Nik'oleishvili, A. (2003). Nark'vevebi kartvel ebraelta lit'erat'urul-p'ublitsist'uri moghvats'eobis ist'oriidan. [Essays from the History of Literary and Publicistic Activities of Georgian Jews]. Kutaisi: ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.
- Salia, K'. (1972). Kartuli lit'erat'ura dasats'q'isidan chven dromde. zhurnali „bedi kartlisa“. XXIX-XXX, P'arizi.
- Sharadze, G. (1993). Utskhoetis tsis kvesh, 3. [Under the Sky of a Foreign Country, 3]. Tbilisi: „merani“.
- Ts'ereteli, G. (1976). Kartveli ebraelebi israelshi. [Georgian Jews in Israel]. Zhur. „tavisuplebis t'ribuna“, 10, 11-13, P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1976). „Maradisobis k'anoni“ da mikheil kavtaradze. [“The Law of Eternity” and Mikheil Kavtaradze]. „Gushagi“, 7, P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1978). B-n K'alist'rat'e Salias „kartuli lit'erat'ura dasats'q'isidan chven dromde“. [Mr. Kalistrate Salia's "Georgian Literature from the Beginning to Our Times"]. „Tavisuplebis t'ribuna“, 1978 ts'. #23.10-14. p'arizi.
- Ts'ereteli, G. (1978). Sakartvelos shemdeg Apkhazeti. [After Georgia, Abkhazia]. „Tavisuplebis t'ribuna“, 21, 22-24. P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1983). Siq'varulis taiguli, leksebi. [Bouquet of Love]. P'arizi.